



ეროვნული თავდაცვის აკადემია NATIONAL DEFENCE ACADEMY

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის დებულება

2023

გორი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტრუქტურული ერთეული - დისტანციური სწავლების ცენტრი (შემდგომში-ცენტრი) წარმოადგენს აკადემიის საგანმანათლებლო ერთეულს.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ცენტრის მიზანს, ამოცანებს, სტრუქტურასა და ფუნქციებს.
3. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის რექტორის სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
4. ცენტრი საქმიანობას წარმართავს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ცენტრის თანამშრომელთა განვითარების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით.
5. ცენტრის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ცენტრში დასაქმებული ყველა პირისათვის.
6. ცენტრი ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორისა და აკადემიის რექტორის მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია:

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დისტანციური სწავლების დანერგვა, განათლების ხელშეწყობა, ხარისხიანი, თანამედროვე და მოქნილი სწავლების უზრუნველყოფის საშუალებების შექმნა, რომელიც დაეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დისტანციური სწავლების პრინციპებს.

2. ცენტრის ამოცანებია:

- ა) თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე პერსონალისათვის უწყვეტი, ეფექტური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დისტანციური ს კურსების დანერგვა, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება და მხარდაჭერა.
- ბ) სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პერსონალისათვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდაჭერა;
- გ) ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დისტანციური სწავლების სისტემური გამოყენების დანერგვა;
- გ) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) სწავლების სტანდარტებთან დაახლოვება.

3. ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) დისტანციური კურსების შეთავაზება თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამხედრო და სამოქალაქო პირებისთვის.
- ბ) ცენტრის განვითარების ხელშეწყობა;
- გ) დისტანციური სწავლების პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;
- დ) ინოვაციური და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დისტანციური კურსების მხარდაჭერა განახლებადა და დახვეწაში;
- ე) დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფა;
- ვ) სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და სასწავლო კურსებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მასალების, გზამკვლელებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.
- ზ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
- თ) დისტანციური სწავლების პოპულარიზაცია, როგორც ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, ასევე თავდაცვის ძალებში.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.
2. ცენტრის უფროსს აკადემიის რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
3. ცენტრის შემადგენლობაში შედის:

- ა) დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი;
- ბ) სწავლების კოორდინატორი;
- გ) სწავლების უზრუნველყოფის სერჟანტი;
- დ) სწავლების ადმინისტრატორი;
- ე) სწავლების მართვის ელექტრონული სისტემის კურატორი;
- ვ) მთავარი სპეციალისტი;
- ზ) სასწავლო კურსების მთავარი სპეციალისტი;

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.